საქართველოს პარლამენტი

2024 წლის ოქტომბრის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2024
ნოემბერი

2024 წლის ოქტომბრის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

8.3%

სექტემბერი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის პირველი ცხრა თვის საშუალო მაჩვენებელი **9.8%**

2024 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **0.3%** შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია **1.2%**-ით განისაზღვრა.



იანვარ - სექტემბერში* საქონლის ექსპორტი **4.1%**-ით, ხოლო იმპორტი **3.6%**-ით გაიზარდა.

სექტემბერში* ფულადმა გზავნილებმა **283.4** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები - **45.6%;**
აშშ - **17.3%;**
რუსეთი - **12.6%;**
სხვა ქვეყნები - **24.5%.**

სექტემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე უცვლელი დარჩა.

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.7%**-ით გაუფასურდა, ევროსთან მიმართებით კი **1.1%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





2024 წლის სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა 8.3%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2024 წლის სექტემბერში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 8.3%, ცხრა თვის საშუალო მაჩვენებელმა კი 9.8% შეადგინა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა: მშენებლობამ, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებმა, ტრანსპორტმა და დასაწყობებამ და ვაჭრობამ. კლება დაფიქსირდა ენერგეტიკის სექტორში.

დღგ-ის საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2024 წლის სექტემბერში* 13,945.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 11.6%-ით აღემატება.

2024 წლის ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.3% შეადგინა.

ოქტომბერში, წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, ინფლაციის დონე 0.3%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე გავლენა იქონია, ძირითადად, ფასების დინამიკამ სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე, ასევე, განათლებაზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. ოქტომბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 1.2%-ით განისაზღვრა.

2024 წლის სექტემბერში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.0% შეადგინა.









<u>2024 წლის სექტემბერში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.</u>

სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 21.7%-ით, ხოლო ხარჯები 6.9%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 617.1 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 138.3 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის სექტემბერში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,017.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 22.9%-ით აღემატება. განსაკუთრებით გაიზარდა მოგების გადასახადი (65.7%-ით), ქონების გადასახადი (42.8%-ით), დღგ (22.5%-ით), საშემოსავლო გადასახადი (20.0%-ით) და აქციზი (18.9%-ით). ამავე პერიოდში 6.9%-ით შემცირდა იმპორტის გადასახადი. პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 45.5%, ხოლო არაპირდაპირმა გადასახადებმა 54.5% შეადგინა. სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების შეძენის 3.6%-იანი (22.3 მლნ ლარით ნაკლები) შემცირება დაფიქსირდა.

<u>2024 წლის სექტემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.</u>

სექტემბერში*, წინა წლის სექტემბერთან* მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 20.6%-ით მოიმატა და 57.5 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 23.5%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 17.0%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 43.8% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (53.0%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.6% ფიზიკურ პირებზეა, 14.4% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 36.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 63.4% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 21.6% გაცემულია მშენებლობის დარგში, 21.2% - ვაჭრობის, 17.3% - მრეწველობის, 13.1% - უძრავი ქონებით ოპერაციების, 6.7% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.





2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2024 წლის იანვარ-სექტემბერში*, წინა წლის ამავე პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ისე იმპორტი.</u>

კერძოდ, ექსპორტმა 4.1%-ით, ხოლო იმპორტმა 3.6%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 3.7%-ით გაიზარდა და 16,777.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 28.5%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (84%), აშშ-ში (32%), უზბეკეთში (27%), ყაზახეთში (26%), შვეიცარიაში (20%), თურქეთში (6%), რუსეთში (2%) და სხვა ქვეყნებში. ექსპორტი შემცირდა სომხეთში (23%), აზერბაიჯანში (14%), ჩინეთში (13%) და სხვა.

იანვარ - სექტემბერში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა ძვირფასი ლითონების მადნების (237%), ფეროშენადნობის (62%), სპირტიანი სასმელების (61%), მინერალური და მტკნარი წყლის (27%), უალკოჰოლო სასმელების (25%), ოქროს (20%), მსუბუქი ავტომობილების (13%), ღვინის (11%) ჯგუფებში. შემცირდა აზოტოვანი სასუქების საზღვარგარეთ გატანა (3%).



2024 წლის იანვარ - სექტემბერში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 74.1% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 17.3% - საზღვაო, 4.3% - საჰაერო, 3.2% სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 1.1% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 48.0% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 36.1% - საზღვაო, 7.2% - საჰაერო, 6.6% კი სარკინიგზო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) სახეების წილმა 2.1% შეადგინა.



იანვარ - სექტემბერში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 4,786.7 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4.1%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: რუსეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 21%), თურქეთი (15%), ჩინეთი (10%), სომხეთი (6%), აზერბაიჯანი (5%), აშშ (4%), შვეიცარია (4%), ბულგარეთი (3%), უკრაინა (3%), ყაზახეთი (3%).

ფულადი გზავნილები **(%)**
ჩარიცხვები, სექტემბერი



<u>2024 წლის სექტემბერი* ფულადი გზავნილები მცირედით შემცირდა.</u>

სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 1.1%-ით შემცირდა და 283.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (129.1 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 45.6%) და აშშ (49.0 მლნ აშშ დოლარი, 17.3%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 40.0%-ით შემცირდა და 35.8 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 12.6%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (49.6 მლნ აშშ დოლარი, წილი 17.5%), აგრეთვე - გერმანიიდან (25.5 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (24.7 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (20.7 მლნ აშშ დოლარი), ყირგიზეთი (9.2 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (9.0 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (8.1 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
(მლნ აშშ დოლარი)



<u>2024 წლის ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვებმა 4,085 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 4,085 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 20.2%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით 13.3%-ით ნაკლებია.

2024 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ლარის გაუფასურების საპასუხოდ, სავალუტო აუქციონზე 213.4 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული .</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2024 წლის სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 2.5%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 16.6%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 10.1%-ით შემცირდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 20.3%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 16.2%-ს გაუტოლდა. 2024 წლის ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.3% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2024 წლის ოქტომბრის ბოლოს მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 9,221.6 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, 67.5% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 17.5% - ეროვნული ბანკის, ხოლო 15.1% - სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 11.9%, არარეზიდენტი - 3.1%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(ოქტომბერი)



2024 წლის სექტემბერში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 59,232.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 17.5%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 50.2% შეადგინა, შესაბამისად, უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებმა კი 49.8%.

სექტემბრის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 64.2% იურიდიულ პირებს, ხოლო 35.8% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 65.3% ფიზიკური პირების საკუთრებაა, ხოლო 34.7% იურიდიული პირების მფლობელობაშია.

დეპოზიტები
(სექტემბერი)



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 50.7% ვადიანი დეპოზიტებია, 24.7% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 24.6% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (39.4%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (31.9%) და მიმდინარე ანგარიშებს (28.7%).



<u>2024 წლის სექტემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე გაიზარდა, ხოლო სესხებზე უცვლელი დარჩა.</u>

სექტემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.38 პპ-ით გაიზარდა და 46.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი არ შეცვლილა და 43.8% შეადგინა.

სექტემბრის თვეში*, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებულმა დეპოზიტებმა 2.3%-ით მოიმატა, ასევე, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 3.8%-ით გაიზარდა.



2024 წლის სექტემბერში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 11,350.5 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 26.7%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 96.3%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 3.7%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 38,959.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21.6%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.2%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.8%.



სექტემბრის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 63.0% გაცემულია თბილისში, 7.9% - იმერეთში, 7.4% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 5.4% -კახეთში, 4.6% - ქვემო ქართლში, 4.2% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2024 წლის სექტემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.1 პპ-ით გაიზარდა, ხოლო სესხებზე 0.4 პპ-ით შემცირდა.

სექტემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 12.9% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.0%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) სექტემბრის* მდგომარეობით 5.9% შეადგინა, 0.78 პპ-ით მეტი წინა წლის სექტემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2024 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი დარჩა და კვლავ 8.0% შეადგინა.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებსა და დეპოზიტებზე

(%)



ლარის გაცვლითი კურსის ინდექსები

(ინდექსის ზრდა ნიშნავს ლარის გამყარებას, კლება - გაუფასურებას)



2024 წლის ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლარის მიმართ მცირედით გაუფასურდა, ხოლო ევროსთან მიმართებით მცირედით გამყარდა.

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.7%-ით გაუფასურდა, ხოლო ევროს მიმართ 1.1%-ით გამყარდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.1%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ოქტომბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.3%-ით, ევროს მიმართ 4.5%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 21.4%-ით გამყარდა.

ოქტომბრის თვეში ლარის საშუალო გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.73, ევროსთან მიმართებით 2.98, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.08 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2024 წლის II კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2024 წლის II კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,004.9 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.1%-ით (200.4 ლარით) მეტია, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 3.2%-ით (61.5 ლარით) მეტი.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2024 წლის II კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (3,963.0 ლარის ოდენობით, 4.3% წლიური ზრდა), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობების დარგებში (3,642.3 ლარის ოდენობით, ზრდა 14.4%), აგრეთვე - მშენებლობისა (2,946.1 ლარი, ზრდა 13.7%) და პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობების დარგებში (2,872.8 ლარი, ზრდა 13.8%).

დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი
(ლარი)



სახელმწიფო დანახარჯები განათლებასა და ჯანდაცვაზე
(მლნ ლარი)



2024 წლის სექტემბრის* თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა განათლებაზე და შემცირდა ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო დანახარჯები.

სექტემბერში* განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 237.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით 33.3%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 141.3 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 28.8%-ით ნაკლებია.

5. რეგიონული მიმოხილვა

2024 წლის ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება.

კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 48.6% შეადგინა, ხოლო სომხეთში 0.6% დაფიქსირდა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2024 წლის სექტემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 3.5%-ით, ხოლო რუსეთში 8.6%-ით გაიზარდა.





2024 წლის ოქტომბრის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, სომხური დრამისა და რუსული რუბლის გარდა, გაუფასურდა.

კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში აშშ დოლართან მიმართებით ქართული ლარი 1.3%-ით, თურქული ლირა 18.7%-ით, აზერბაიჯანული მანათი 0.03%-ით გაუფასურდა, ხოლო სომხური დრამი 3.6%-ით და რუსული რუბლი 0.9%-ით გამყარდა.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	ოქტ 23	ნოე 23	დეკ 23	იან 24	თებ 24	მარ 24	აპრ 24	მაი 24	ივნ 24	ივლ 24	აგვ 24	სექ 24	ოქტ 24
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	6.2	5.9	8.3	5.8	9.5	8.2	11.8	9.2	7.5	13.0	12.0	8.3	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	6.0	2.6	4.6	1.4	11.8	8.5	19.1	10.7	10.7	19.8	14.2	11.6	
ინფლაცია (%)	0.8	0.1	0.4	1.4	0.3	0.5	1.5	2.0	2.2	1.8	1.0	0.6	0.3
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	10.00	10.00	9.50	10 445.9	9.00	8.25	8.25	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.48	0.48	0.49	0.47	0.47	0.47	0.46	0.45	0.47	0.47	0.46	0.46	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.45	0.45	0.45	0.45	0.44	0.45	0.45	0.46	0.45	0.44	0.44	0.44	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.69	2.71	2.69	2.68	2.66	2.68	2.68	2.72	2.83	2.73	2.70	2.71	2.73
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	285 439	295 013	311 008	265 093	266 386	280 934	278 515	284 309	281 091	298 118	290 567	283 385	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	491	482	514	339	465	523	437	501	581	684	642	616	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1 361	1 297	1 369	1 102	1 181	1 227	1 451	1 411	1 355	1 555	1 386	1 323	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-870.5	-814.8	-854.5	-763.3	-716.1	-704.1	-1 013.8	-909.3	-774.3	-871.1	-744.4	-707.9	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	5 119	5 122	5 010	4 853	4 746	4 777	4 814	4 600	4 581	4 671	4 839	4 712	4 085
შემოსავლები (მლნ ლარი)	1 913	1 831	2 122	2 116	1 823	2 384	2 050	2 010	2 495	2 066	1 951	2 216	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1 626	1 581	1 947	1 716	1 676	1 558	1 904	1 697	1 587	2 193	1 531	1 599	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	469	545	1 109	402	420	430	424	459	567	570	555	594	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი